საახალწლო ზეიმი პირველ ბაგა ბაღში

გვ. 5

რა ჯდება საახალწლო სუფრა?..

გვ. 7

ჭოკვარი ოთვა საქართველოში

ფასი 50 თეთრი № 30 14 - 21 დეკემბერი 2015 წელი გამოდის საშაბათობით

რატომ უთხრეს ალანიას ნიჩბოსნობის ბაზის მშენებლობისთვის უარი და რატომ გააქციეს ყაზახი ინვესტორი ფოთიდან? გვ. 3

ფოთში პროფკავშირების მოთხოვნით ბაღებში დასაქმებულები პრემიასაც მიიღებენ და რამდენიმე დღითაც დაისვენებენ გვ. 3

ფოთელები თევზის სუნს აპროტესტებენ

„ფოთის სიყვარული მარტო საღლეგრძელო არ გახლავთ, საქმის კეთება და ერთმანეთის პატივისცემაა„ გვ. 5

რა უნდა გვედოს საახალწლო სუფრაზე და როგორ შევხვდეთ ცეცხლოვანი მაიმუნის წელს

გვ. 6

ერთად შევხვდეთ ახალ 2016 წელს

ახალი 2016 წელი - ცეცხლოვანი მაიმუნის წელიწადია. წითელი თვალი ვნების და იმპულსურობის სიმბოლოა, თვითონ მაიმუნი კი - თავისი მოქმედებებული აქტიურობითაა ცნობილი. გამომდინარე აქედან შეგვიძია ვივარაუდოთ, რომ წელიწადი მრავალფეროვანი სიახლეებით იქნება მდიდარი.

საახალწლო ცანსაცმელის შერჩევისას უპირატესობა ოქროსფერ, ნარინჯისფერ, წითელ და ბორდოს ფერებს მიანიჭეთ, სამოსი "ცეცხლის ენების" ერგვარი განსახიერება უნდა იყოს, რადგან წლის თავისმას - ცეცხლოვან მაიმუნს ყველაფერში ექტრავაგანტულობა და ეპატაჟი უყვარს.

სადღესასწაულო მენიუში ბევრი ბოსტნეულის სალათი და შედარებით ნაკლები ხორცის კერძი შეიტანეთ, ბევრი უნდა იყოს ხილი (ბანანი, ფორთოხალი, ვაშლი) და ტკბილეული.

მიზნების და ოცნების რეალიზაციითვის, შეიძინეთ მაიმუნის ნებისმიერი სათამაშო და ნაძვის ხის ქვეშ დასვით, რათა ისიც თქვენთან ერთად შეხვდეს ახალ წელს. შუაში მაიმუნი წარმატებას მოიზიდავს თქვენს სახლში, კარგია მაიმუნის ამულეტის ტარებაც, ამიტომ შეიძინეთ პატარა კულონი, რომელსაც ყელზე გაიკეთებთ. სათუალეში წითელ ქსოვილში შეხვეული სპილენძის მავთულის ტარებას კი, რეოგორც ამბობენ სიმდიდრე და თანანგრძნობა წარმატება მოაქვს.

ნაძვის ხე - ახალი წლის მთავარი სიმბოლო და აცრიბუტია. მის მორთულობაზე კი, არა მარტო თქვენი საღოესასწაულო განწყობაა დამოკიდებული, არამედ წარმატებული წელიც.

იმ შემთხვევაში თუ ყველაზე მეტად სიყვარულს ნატრობთ, ნაძვის ხე ოთახის მარჯვენა კუთხეში დადგით და მხოლოდ წითელი და ვარდისფერი სათამაშოებით მორთეთ. თუ თანანგრძნობა წარმატებებს თხოვთ - მარცხენა კუთხეში მოათავსეთ. თუ თქვენი მიზანი კარიერის გაკეთება ან ახალი სამსახურის დაწყებაა, მაშინ ნაძვის ხე შესასვლელი კარის პირდაპირ დადგით. იმ შემთხვევაში კი, თუ ბავშვებზე ოცნებობთ - კარის მარჯვენა კუთხეში მოათავსეთ ის, ვინც მოგზაურობაზე ოცნებობს, ნაძვის ხე მარჯვენა კედლის ცენტრში უნდა დადგას. ოთახის ცენტრში მორთული ნაძვის ხით კი, ცეცხლოვანი მაიმუნისგან ყველაფერს ცოტ-ცოტას მიიღებთ.

სარეკლამო ბალასაწაულზე ისევე აუცილებელია, რეოგორც ნაძვის ხე. მაიმუნი ნაკლებად ჰერეტენზიული და მომთხოვნი არსებაა. მას არ ქირდება ძვირფასი სარეკლამო, რადგან მისთვის მთავარი ის ემოციაა, რომელსაც ადამიანები ერთმანეთს რეკლიანან და ის პატივისცემა, რომელსაც ახლობლების მიმართ გამოხატავენ. მთავარია, თქვენმა გულით შერჩეულმა სარეკლამო მხოლოდ დადებითი ემოციები გამოიწვიოს.

გამომცემელი და დირექტორი, მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია - 599 341 417;
ingagvasalia@gmail.com

რედაქტორი
ივეტა პაჭკორია - 568 61 04 41

დისტრიბუციის სამსახური
მარი ალიხანაშვილი 551 122 570-
კორესპონდენტები:

მარიამ ჯავახია - 579 241 122

მარი ალიხანაშვილი (ფოთი)
551 122 570

ივეტა პაჭკორია (ხობი)
568 61 04 41

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

2014 წლის ბოლოდან 20 %-ით გაუფასურდა ეროვნული ვალუტა. როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აცხადებს ვალუტის კურსის ვარდნა მყარია.

და ზღრულ ნიშნულს არ ცილდება. გასულ წელს 23 %-ით გაიზარდა ქვეყნის მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა. ერქპერტების აზრით მთავრობა ზედმეტ ფულს ბეჭდავს, რაც ინფლაციის მიზეზია. მიმდინარე წლის იანვარში დოლარის მიმართ ლარის კურსი ყოველდღიურად იცვლება და მაღლა მიიწევს. ბოლო დღეების მონაცემებით ერთი ამერიკული დოლარი - 2.4 ლარზე მეტია, ერთი ევრო - 2,7 ლარი, ერთი თურქული ლირა - 0,78 ლარი.

გვილოცავენ... გვილოცავენ...

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი ლევან შონია

სრულიად საქართველოს და განსაკუთრებულად ჩვენი რეგიონის მოსახლეობას ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ. 2016 წელი უხვი წარმატებების მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის და სრულიად საქართველოსთვის.

ჩვენი მთავარი დევიზია ყოველი წელი მეტობის ნიშნით, 2015 წელი გვქონდა წარმატებული,მაგრამ მეტად წარმატებული იქნება 2016 წელი. ჩვენ 2016 წელს განვახორციელებთ რეგიონისთვის უმნიშვნელოვანეს პროექტებს, რომელიც სამეგრელო-ზემო სვანეთისთვის შერმდგომი განვითარებისა და წარმატებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და უფალი შეგეწიოთ ყველა კეთილ საქმეში!

ღრმა პატივისცემით,
ლევან შონია
სამეგრელო-ზემო სვანეთის
მხარეში სახელმწიფო
რწმუნებული - გუბერნატორი

* *

ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი კაკულია

ჩემო ძვირფასო თანაქალაქელებო!

მინდა, თითოეულ თქვენგანს მოგილოცოთ ახალი 2016 წლის მობრძანება. დაე, ფოთისა და ფოთელებისთვის, სრულიად საქართველოსთვის ეს წელი ყოფილიყოს იმედის, რწმენის სიხარულის, სიჯანსაღის, კეთილდღეობის მომტანი. მინდა, თითოეულ თქვენგანს მადლობა გადაგიხადოთ მხარდაჭერისთვის, გულისხმიერებისთვის, მოთმინებისთვის... რადგან დღევანდელი ყოფა ჯერ კიდევ სირთულეებით არის დატვირთული, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ახალი წელი ახალი გამოწვევებით მოდის, იმედსა და პერსპექტივას გვისახავს. ვფიქრობ, ფოთელებისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება, გონების თვალი გადავავლოთ განვლილ 2015 წელს, რადგან ძველისა და ახლის შესაყართან მუდმივად ჩნდება კითხვა: რა შევმატეთ ჩვენს ქალაქს, რა გავაკეთეთ, რა შევძელით, რა ვერ მოვასწარით, რა გვესახება სამომავლოდ?

თქვენთან ერთად, წინასაახლწლოდ მინდა მიმოვიხილო ქალაქისთვის მნიშვნელოვანი ის მოვლენები, რაც მალე 2015 წლის ქრონიკების კუთვნილება გახდება.

უპირველესად, ვთვლი, რომ ყველაზე მასშტაბური და მართლაც უპრეცედენტო პროექტი, რომელიც 2015 წელს დაიწყო და ახალ წელსაც გაგრძელდება, მალთაყვის ბულვარის მშენებლობის საქმეა. ზღვის სანაპიროს კეთილმოწყობა ჩვენი მუნიციპალიტეტის ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით ხორციელდება. სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მოწყობა ხელს შეუწყობს ფოთის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. აღორძინდება ტურიზმი, ზღვისპირა ზოლის მოწესრიგებისთვის პრაქტიკული ნაბიჯები უკვე გადაიდგა, შესრულებულია პირველი ეტაპის სამუშაოები: მნიშვნელოვან სიახლედ უნდა ჩაითვალოს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის მიერ გადმოცემული პლაჟის საწმენდი მანქანა, რომლითაც წელს პირველად მექანიზირებულად დასუფთავდა ჩვენი სანაპირო.

ასევე პირველად განხორციელდა ფოთში კოღოს საწინააღმდეგო ღონისძიებანი. ეს პროგრამა 2016 წელსაც გაგრძელდება. ფოთისთვის ძვირფასი საჩუქარია "ქართუ ჯგუფის " მიერ აშენებული თანამედროვე, ევროსტანდარტებით მოწყობილი სარაგბო კომპლექსი -"პარკი არენა", საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დახმარებით განახლდა ფოთის ნაგავსაყრელი, კაპიტალურად შეკეთდა რამდენიმე საჯარო სკოლის შენობა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებს, კეთილმოწყობის სამუშაოები 2016 წელსაც გაგრძელდება. მიმდინარე წელს ქალაქის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, სკოლამდელი დაწესებულებების მასწავლებლების სახელფასო ფონდი 100 000 ლარით გაიზარდა, სახელფასო ანაზღაურების ზრდა 2016 წლის აპრილიდანაც იგეგმება.

ახლო მომავალში ფოთში ახალი, ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობაა გათვალისწინებული, ახალი პორტის პროექტის განხორციელებით ქვეყანა და ქალაქი დიდ ეკონომიკურ სარგებელს ნახავს, რაც უპირველესად, სამუშაო ადგილების შექმნითა და მატერიალური შემოსავლებით გამოვლინდება. არის იმედი, რომ მოგვარდება ქალაქისთვის მნიშვნელოვანი პრობლემის, მდინარე რიონის ჰიდროკვანძის საკითხი, რომელიც წლებია აღარ ფუნქციონირებს; ქალაქში საკანალიზაციო სისტემა სრულად იქნება რეაბილიტირებული. 2016 წლიდან, ფაქტობრივად, ახალი კომუნიკაციების მშენებლობა დაიწყება. გაგრძელდება ქუჩებისა და ეზოების კეთილმოწყობა,სანიაღვრე არხების განახლება, გაუმჯობესდება ქალაქის გამწვანება.

2016 წლიდან მთელი რიგი სიახლეები იქნება ჯანდაცვაში, კულტურაში, სპორტში, საგანმანათლებლო სისტემაში... მოწესრიგდება სატრანსპორტო სფერო. კიდევ უფრო გაიზრდება ჩვენი მუშაობა მოსახლეობის სოციალური დაცვისთვის... გავააქტიურებთ თანამშრომლობას უცხოელ პარტნიორებთან, სამოქალაქო სექტორთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვიმედოვნებ, მომავალში ფოთი საიმედო მისამართი იქნება ინვესტიციებისთვის... ვისურვებდი, 2016 წელი ყოფილიყოს ახალი მიღწევებისა და ძველი სირთულეების დაძლევის, ქვეყნის გამთლიანებისა და გაძლიერების, ეკონომიკური აღმავლობის წელი!

თითოეული თქვენგანის კეთილდღეობისა და სიმხნევის წელი!
კიდევ ერთხელ გილოცავთ, ჩემო ფოთელებო, შობა-ახალ წელს!
მშვიდობა, სიხარული და ღვთის წყალობა შემოსულიყოს თქვენს ოჯახებში !

* *

ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაია ჩხარტიშვილი

"ჩემო საყვარელო ფოთელებო! გილოცავთ დამდეგ ახალ წელს,ჯანმრთელობას,სიხარულს და ბედნიერებას გისურვებთ. სურვილების და ოცნებების ასრულების წელი ყოფილიყოს! მეც მაქვს ჩემი ოცნება-ჩემი ქალაქი უფრო ლამაზი,ხალხი კი უფრო ბედნიერი მინდა იყოს! მჯერა, ჩვენ ერთად ამას შევძლებთ ჩვენი და ჩვენი შვილების უკეთესი მომავლისათვის!გვიყვარდეს ერთმანეთი, გავუფრთხილდეთ და მოვეფეროთ ერთმანეთს!

დიდი სიყვარულით და კეთილი სურვილებით
მაია ჩხარტიშვილი

რატომ უთხრეს ალანიას ნიჩბოსნობის ბაზის მშენებლობისთვის უარი და რატომ გააქციეს ყაზახი ინვესტორი ფოთიდან?

ივეტა პაჭკორია
ფოთი

ცენტრალური პარკის წინ, მდინარე რიონის სანაპიროზე რკინის ჯიხურში უკვე წლებია ნიჩბოსნობის კომპლექსური სასპორტო სკოლაა განთავსებული. ნიჩბოსნობის კომპლექსური სასპორტო სკოლა 1999 წელს დაარსდა და დიმიტრი თავდადებულის ქუჩაზე, მდინარე რიონის ნაპირას მდებარე შენობაში განთავსდა, რომელიც ნავსადგურის ბალანსზე იყო. 2004 წელს ნავსადგურმა შენობა-ნაგებობა გაასხვისა და ქუჩაში დარჩენილმა სკოლამ რიონის მეორე ნაპირას რკინის კონტეინერში დაიდო ბინა, რომელიც როგორც გავარკვიეთ სკოლის დირექტორმა საკუთარი სახსრებით შეიძინა. დღემდე სკოლა ინვენტარითურთ ამ რკინის კონტეინერშია განთავსებული. დღეისათვის სკოლაში 65 სპორტსმენი ვარჯიშობს.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, რამდენიმე თვის წინ, სანიჩბოსნო კომპლექსური სასპორტო სკოლისათვის ბაზის აშენების სურვილი ნიჩბოსნობის ფედერაციის ვიცე პრეზიდენტმა, ბიზნესმენმა ვარტანგ ალანიამ გამოთქვა, მაგრამ მის ამ ინიციატივას საკრებულოში წინააღმდეგობით შეხვდნენ. მიწა სადაც დღეს რკინის კონტეინერია განთავსებული ადგილობრივმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ სკოლას არ გადასცა.

სანდო წყაროს ინფორმაციით ამ საკითხის გარჩევისას საკრებულოს ზოგიერთ წევრსა და სანიჩბოსნო სკოლის წარმომადგენლებს შორის სიტყვიერი დაპირისპირებაც მომხდარა, უფრო მეტიც საქმე ხელჩართულ ბრძოლამდეც მისულა. რამდენიმე დღეშივე ისევ საკრებულოს სხვა დანარჩენი წევრების ჩარევის შედეგად სიტუაცია განელებულა. სამაგიეროდ, ქალაქს ამ დაპირისპირებით ინვესტორი დაუკარგავს. საქმე იმაში გახლავთ, რომ სადაც ალანია აპირებდა ბაზის მშენებლობის დაწყებას და ამისთვის ითხოვდა მიწის გადმოცემას, იქვე გვერდით ყაზახი ინვესტორი გეგმავდა სასტუმროს მშენებლობას, მაგრამ ბაზის მშენებლობაზე უარის თქმის გამო უცხოელმაც უარი განაცხადა და როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი ინვესტიციები ქუთაისში დააბანდა.

მიწის გადაცემაზე უარის თქმას საკრებულოს წევრები ბიზნესმენის სხვა დაინტერესებით ხსნიან და ამბობენ, რომ ალანიას სხვა განზრახვა ამოძრავებდა აღნიშნულ მიწასთან დაკავშირებით. „იქ ბაზა არ კეთდებოდა, იქ კეთდებოდა ნავმისადგომი და მაქსიმუმ დაიხარჯებოდა 50 000 ლარი. ამ მიწის 50 000



ლარად გაყიდვა მაზოხისტობაა. გინდათ გლეხურად რომ გითხრათ? იქ კეთდებოდა ნავების „გარაჟი“- განაცხადა საკრებულოს წევრმა მალხაზ ბუკიამ. „გარაჟი“ თუ ბაზა ამაზე კომენტარი ვახტანგ ალანიასაც ვთხოვეთ. მისი მტკიცებით ის აპირებდა სანიჩბოსნო ბაზის მშენებლობას, რომლის აშენება რამდენიმე წელზე იქნებოდა გათვლილი: „ქალაქმა არ გამოყო მიწა და ჩემი სურვილი, რომ ამეშენებინა ბავშვებისათვის სანიჩბოსნო სკოლის ბაზა არ განხორციელდა. პროექტი რამდენიმე წელიწადზე იყო გაწერილი, პირველი ეტაპზე პროექტით სამუშაოები 100 000 ლარამდე იყო გათვლილი. ეს იყო რაც უპირველესად სჭირდებოდა სკოლას – ნავების შესანახი, გასახდელები და ელემენტარული პირობა. თუმცა, ჩემთვის გაუგებარი მიზეზით, მერიამ უარი თქვა მიწის გადმოცემაზე. არ შეიძლება დღეს სკოლა კონტეინერში იყოს განთავსებული, თანაც თუ იქ გაშენდებოდა სპორტული ბაზა, ყაზახი ინვესტორები სასტუმროს გააშენებდნენ, უარის შემდეგ მათ ინვესტიცია ქუთაისში განახორციელეს. ფოთი კვლავ წაგებული დარჩა.“

ალანიას სიკეთის ბუკიას არ სჯერა: „ადამიანს, რომელსაც მართლა კეთილი საქმის კეთება უნდა, ააშენებდა იმ ადგილას, სადაც შევთავაზეთ. მაგრამ მან კონკრეტულად ის ადგილი მინდაო, გინდა რა შენი საკუთრება კი არ არის. კიდევ გიმეორებთ ადამიანს, რომელსაც კეთილი ნება გააჩნია შეიძლება საქმე ქალაქთან ერთად გააკეთოს და არა თვითონ მიუთითოს ადგილი. პოლიციის შენობის გვერდზე

დასასრული 4- გვ.

* * * * * * * * * * * * * * * * * *

ფოთში პროფკავშირების მოთხოვნით ბაღებში დასაქმებულები პრემიასაც მიიღებენ და რამდენიმე დღითაც დაისვენებენ

მარიამ ალიხანაშვილი
ფოთი

საბავშვო ბაღების თანამშრომლები ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით საახალწლოდ პრემიას მიიღებენ. ეს გადაწყვეტილება ხელისუფლების წარმომადგენლებმა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ფოთის საქალაქო ორგანიზაციის მოთხოვნით მიიღო. პრემიასთან ერთად, ბაღებში დასაქმებულები 11 იანვრამდეც დაისვენებენ. ეს გადაწყვეტილებაც ბაღების თანამშრომლებთან შეხვედრისას ამ რამდენიმე დღის წინ მიიღეს. აღნიშნული შეხვედრაც სპმთპ-ის საქალაქო ორგანიზაციის ორგანიზებით მოეწყო. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის აპრილიდან ხელფასების მატებაც იგეგმება. ამ საკითხებთან დაკავშირებით ბაღების გაერთიანების უფროსს მარგო ჯანიაშვილს ვესაუბრეთ. მისი თქმით: “ 2016 წლისთვის ბიუჯეტი განისაზღვრა 2 100 000 ლარით, 100 000 ლარი გადანაწილდა სახელფასო ფონდში. აქედან გამომდინარე, აპრილიდან იწყება ხელფასების მატება, გამგეებს ემატება 50 ლარი, პირველი ცვლის აღმზრდელს - 40 ლარი, მეორე ცვლის აღმზრდელს - 20 ლარი, ექთანს და მზარეულს – 30 ლარი, დამხმარე პერსონალს – ძიძებს 30 ლარით გაეზრდება ხელფასი, დარაჯებს კი - 20 ლარით. მერია ასევე დაგვპირდა, რომ საშობაოდ გამოყოფს თანხებს და დაგვირიგდება პრემია 100 ლარის ოდენობით”.

როგორც გავარკვიეთ ბაღებში დასაქმებულებისთვის ხელფასების მატებაზე საუბარი ჯერ კიდევ 2015 წლის დასაწყისში სპმთპ-ს საქალაქო ორგანიზაციამ დაიწყო, როცა მიმდინარე წლის ბიუჯეტი იგეგმებოდა. სწორედ აღნიშნული ორგანიზაციის მოთხოვნით იქნა მიმდინარე წლის ბიუჯეტიც 200 ათასი ლარით გაზრდილი და შესაბამისად სახელფასო ფონდიც გაეზარდათ დასაქმებულებს. „ჯერ კიდევ 2015 წლის ბიუჯეტის დაგეგმისას მოვითხოვეთ ბაღებში დასაქმებულებზე ხელფასების გაზრდა, რაც გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. ვითხოვდი ხელფასების მატებას არაერთბაშად, არამედ პერიოდულად გაეზარდათ, რადგან ბაღებში დასაქმებულების ხელფასები ძალიან მიზერულია. როგორც ხედავთ ამჯერადაც გაითვალისწინა ჩვენი მოთხოვნა ხელისუფლებამ და 2016 წლის აპრილიდან ბაღებში დასაქმებულები მომატებულ ხელფასებს მიიღებენ. ამასთანავე დაკმაყოფილებული იქნა ჩვენი მოთხოვნები პრემირებასთან დაკავშირებითაც და წელს პირველად ბაღებში დასაქმებულები რამდენიმე დღით დაისვენებენ”- გვითხრა სპმთპ-ის ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარემ ინგა გვასალიამ.

მარგო ჯანიაშვილი იმ პროექტებზე და გეგმებზეც გვესაუბრა, რისი განხორციელებაც 2016 წლის დასაწყისიდანვე იწყება: “საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია იგეგმება. ამ ეტაპზე გამოცხადებულია ტენდერები პროდუქტის მომარაგებაზე. როგორც ვიცით, სურსათის უვნებლობის სააგენტო ყურადღებას აქცევს პროდუქტის შემადგელობას. აქედან გამომდინარე, ბაღებში კარაქია შესაცვლელი. როგორც აღმოჩნდა, კარაქი ‘’სპრეტი’’ ბავშვებისთვის არ გახლავთ სასარგებლო. კარაქი და შედედებული რძეც აუცილებლად უნდა იყოს ცხოველური წარმოშობის. ასევე იგეგმება იანვრიდან მკაცრი მოთხოვნისამებრ 4 სამზარეულოს სრული შეკეთება, სამზარეულოს ავეჯი უკვე შეძენილია და ტენდერი ცხადდება ფინჯანზე და ლამბაქზე, შეშის მომარაგებაზე ტენდერში გამარჯვებული უკვე გამოვლინდა”.

როგორც გაერთიანების ხელმძღვანელმა გვითხრა საახალწლოდ ფონდმა ‘’ბილივმა’’ ბაღებს სათამაშოები გადასცა, რომელიც საქველმოქმედო აქციებით 1 500 სათამაშო შეგროვდა. როგორც გავარკვიეთ ამ აქციაში მონაწილეობდნენ, ფიზიკური პირები, კოლექტივები, ბანკები. ჯერჯერობით 2 ბაღშია შეტანილი სათამაშოები - 1 და მე- 17-ე ბაღებში. ამ აქციამ დიდად გაახარა პატარები.

საუბრის დასასრულს გაერთიანების უფროსმა დამდეგი ახალი წელი მიულოცა თანამემამულეებს: “ ღმერთს შევევედრები, რომ ჩემს ხალხს, ჩემს ქვეყანას გაუთენოს მშვიდობიანი ახალი წელი, სინათლე და სხივი არ მოაკლოს ჩვენს ფანჯრებს უფალმა, ქვეყნის გამტკიცებას, გაძლიერებას ვუსურვებ ყველას, ბეღელში პური, ჰორში საქონელი და ფრინველი არ გამოილიოს, რომ გაძლიერდეს ქვეყანა, სიხარულით სავსე სახეებით შეხვედროდეს ყველა 2016 წელს. ჯანმრთელობას ვუსურვებ ჩემს პატარებს”.

რატომ უთხრეს ალანიას ნიჩბოსნობის ბაზის მშენებლობისთვის უარი და რატომ გააქციეს ყაზახი ინვესტორი ფოთიდან?

დასაწყისი 3-გვ.

გვაქვს ძალიან ძვირად ღირებული 700 კვ. მიწა, რომელიც საპრივატიზაციო ნუსხაშია შესული. შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი ძვირად ღირებული მიწაა, რომელიც ქალაქის ცენტრში გვაქვს, გამომდინარე აქიდან შევიკავეთ თავი ამ მიწის გადაცემაზე. მაგრამ ალტერნატიული 900 კვ. მიწა შევთავაზეთ ოდნავ მოშორებით, რკინიგზის წინ, რიონპირას. თავიდან ძალიან მოეწონა სანიჩბოსნო სკოლის დირექტორს ფრიდონ ბირკაიას, მაგრამ შემდეგ რატომღაც თავი შეიკავეს. გინდა თუ არა ის მიწა მინდაო. პირადად ვახტანგ ალანიასთან არ მისაუბრია, მაგრამ მე ვესაუბრე ბირკაიას და მან გადმომცა ალანიას პასუხი. ჩვენ ამ საქმისათვის ზუსტად მორგებული მიწა შევთავაზეთ, იგივე რიონპირი, ბაზისათვის მისაღები ადგილი, მაგრამ ყველამ თავი შეიკავა, ალანიას უნდა 2 500 კვ.მ, მაშინ უნდა დანაწევრდეს გასაყიდი მიწა, უნდა გაიჭრას გზა და მითხარით რა დარჩება და ვინ იყიდის? თუ ეშმაკობას არ აქვს ადგილი, ოპტიმალურად საუკეთესო ადგილი მოვნახეთ. გაინტერესებთ ალტერნატიულ მიწაზე უარის არგუმენტი რა იყო? შორია და ბავშვებს სიარული გაუჭირდებაო, გეკითხებით - ბაზრის ტერიტორიაა შორი? " კითხვაზე აპირებდა თუ არა ადგილობრივი ხელისუფლება ნიჩბოსნობის კომპლექსური სასპორტო სკოლისათვის ბაზის მშენებლობას, ბუკიამ გვიპასუხა, რომ კანოე კლუბს უსასყიდლოდ გადასცეს ის ბაზა, სადაც დღეს არიან განთავსებულები. ხოლო ნიჩბოსნობის კომპლექსურ სასპორტო სკოლა დროებით ასე დარჩება, რაც შემდეგნაირად ახსნა: „ ყოფილი ბაზა, წინა ხელისუფლების დროს ქალაქის გარეშე გაყიდა ეკონომიკის სამინისტრომ და ჩვენ რა ვქნათ?" ბუკიას არც სანიჩბოსნო სკოლის წარმატებების სჯერა და ამბობს, რომ: „მე ბირკაიამ ვერ მომიტანა ვერანაირი დოკუმენტი რამდენი ბავშვი ყავს, აქედან რამდენი ჩემპიონი ყავს. სინამდვილეში არ ყავს მას იმდენი ბავშვი, რამდენსაც ამბობს და არც იმდენი ჩემპიონი ყავს. მოუკვდა მაგას ჩემი თავი."

ჩვენ აღნიშნულთან დაკავშირებით ნიჩბოსნობის კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორს ფრიდონ ბირკაიასაც ვესტუმრეთ. ის ბუკიას ბრალდებებს უარყოფს და სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს. მისი განმარტებით: „თუ ხელისუფლება აპირებს მიწის გადმოცემას, მე არ უნდა მეკითხებოდეს სად გააკეთებს, არამედ გამოყონ ადგილი, გააკეთონ პროექტი და გადმომცენ, თუ ვიტყვი უარს მერე დამადანაშაულონ, რომ მე ადგილს ვირჩევ და სპორტის განვითარებაზე უარს ვამბობ. ვინ მეკითხება მე მიწის გამოყოფას?

–თქვენ უარი გითქვამთ დადიანის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე ბაზის აშენებაზე, რა იყო ამის მიზეზი?

–არ მინდა არავისთან დაპირისპირება და აქეთ მიწყებენ თუ რა ხდება? მთავრობა მაძლევს ადგილს, რომ სპორტი განვითარდეს და გამოდის რომ მე უარზე ვარ? გამოდის რომ მტერი ვარ? დიახ, მე უარი ვთქვი აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე ბაზის აშენებაზე. ეს ძალიან შორია, საუბარი იყო ორ ადგილზე, დადიანის ხიდის ერთ ნაპირზე, რკინიგზის სკოლის წინა მხარეს და დადიანის ხიდის მეორე ნაპირზეც. ორივეზე თანახმა ვიყავი, საკუთარი ხელით გადავზომე მწვრთნელთან ერთად ის ადგილები, პირიქით იქ მყარი ნიადაგია, მოსაზვენიც არაა და უკეთესიცაა, თან სკოლაც იქვეა. ამაზე უარს როგორ ვიტყოდი? პირადად მითხრან ვის ვუთხარი უარი?

–ჩვენი ინფორმაციით აღნიშნული ტერიტორიით ყაზახი ინვესტორებიც დაინტერესდნენ?

–რაც შეეხება ყაზახ ინვესტორებს, ისინი ჩემთან გამოვიდნენ კავშირზე, დაინტერესდნენ, რიონის სიღრმით, შეიძლებოდა თუ არა იქიდან ზღვაზე გასვლა. თქვეს,„რომ მათაც აწყობდათ სასტუმროს გვერდით სანიჩბოსნო სკოლა და თუ მიწას გადმოგვცემდა მერია და იქ სპოტული ბაზა გაშენდებოდა, ისინი იქ იყიდიდნენ მიწას და სასტუმროს ააშენებდნენ, ამავდროულად დაგვპირდნენ, რომ ყველანაირად ხელს შეგვიწყობდნენ. თუმცა, სკოლას მერიამ აღნიშნული მიწა არ გადასცა. ინვესტორებმა კი ქუთაისში ააშენეს სასტუმრო. აქ ალანიას არანაირი ინტერესები არ იდო. ალანიას უნდოდა მიწაო, ალანია სად წაიღებდა და როგორ იყიდიდა მიწას თუ ის სკოლის ბალანსზე იქნებოდა? თუ ეს მიწა აინტერესებდა სანამ რომელიმე ორგანიზაციის ბალანსზე არ დაჯდება, მანამდე იქნებოდა მისთვის ხელსაყრელად საყიდი.

–რა ინვენტარს ფლობს დღეს სკოლა, რომელიც რკინის კონტეინერშია განთავსებული?

– ქალაქის ბალანსზე არის 3 ნავი, რომელიც წელს შემოვიტანეთ. 7 პლასმასის ნიჩბები უკრაინიდან შემოტანილი და დანარჩენი პირადი ფულით ნაყიდი ნიჩბები მაქვს, ასევე მაქვს 13 ცალი 15 წლის ნავები. კონტეინერიც პირადი ფულით ვიყიდე, როცა ქუჩაში აღმოვჩნდით. არ მინდა არავისთან დაპირისპირება, მაგრამ ზოგჯერ ძალიან ვბრაზდები. ეს ყველაფერი რაც მაქვს და რაც გამიკეთებია საკუთარი სახსრებით და წვალებით მაქვს შეძენილი. სახლიდან მომაქვს, ვინმესთვის კი არ მომიპარავს. ქალაქმა ნიჩბები, რომ იყიდა, ფული ვერ გადაიხადა და სასწრაფოდ 1 200 ევრო ჩავარიცხიე ერთერთ ბიზნესმენს. რატომ უნდა ვეხვეწო ვიღაცეებს ფულზე? თუ აფინანსებ ბაზაც უნდა გქონდეს, ინვეტარი და მოთხოვნაც მერე უნდა იყოს. რომელიმე მთავრობა დაინტერესდა რატომ აღმოჩნდა ქუჩაში სკოლა? როგორ და საიდან იყიდა ის ბაზა სხვამ? კი ბატონო ის იყო ნავსადგურის, გადაეცა ეკონომიკის სამინისტროს და შემდეგ მოხდა გასხვისება, მაგრამ რამე ვალდებულება არ უნდა აიღოს მყიდველმა, რომ სპორტი ქუჩაში არ დარჩეს? ვინ გაგიზრდიაო მკითხეს, მე თუ არ გამიზრდია თვითონ ვინ ყავთ გაზრდილი? ვიქტორ კრატასიუკი 1962 წელს გახდა ოლიმპიური ჩემპიონი მიუნჰენში. ის საწყალი მშიერი მოკვდა, პური არ ჰქონდა და ახლა მის სახელს ნუ იშველიებენ. მან დატოვა ისტორია, ახლა ჩვენ უნდა გავაკეთოთ ჩვენი საკეთებელი. მისი სახელით ნუ აპიარებენ საკუთარ თავს.

– რა იყო თქვენი სკოლის დაყოფისა და ცალკე კლუბის შექმნის მიზეზი?

– ფედერაცია გაიყო, მაგრამ არ ზღუდავს ერთიან სკოლას, ქუთაისში, ზუგდიდში, მცხეთაში ერთიანი სკოლაა. ქალაქმა დააფუძნა კლუბი და ქალაქი აგებს პასუხს, ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ წინააღმდეგი? პირიქით უკეთესია სპორტის განვითარებისათვის. აქვს ქალაქს საშუალება და დააფინანსებს, ამაში არაფერს ცუდს ვერ ვხედავ, მე ვარ უბრალო, მუშა ადამიანი, რომელიც ჩემი საქმით ვარ დაკავებული, უბრალოდ ერთია, რომ ერთის შექნით მეორე არ დაზარალდეს, 7 ნიჩბოსნობის ბაზა იყო და შვიდივე გასხვისდა. ძალიან გვიჭირს. ჩემი ერთი მოსწავლე ზურაბ კინტირაია საქართველოს ნაკრებში ვარჯიშობს 2018 წლის ოლიმპიადისთვის. ჯერ ლიცენზია უნდა მოიპოვოს. ორი გოგონა აგრეთვე გაზაფხულიდან შეიძლება საქართველოს ნაკრებში გადაიყვანონ. გადელია 8 თვეა ჩემთან ვარჯიშობს და მის ასაკში პირველია, გამოდის რომ ვშრომობთ. ქალაქის ოლიმპიური ჩემპიონი ვლადიმერ ჭანტურია ოთხი წელი ჩვენს სკოლაში დადიოდა, კრივში გადავიდა და წელიწად ნახევარში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, გამოდის, რომ ქონდა მას აქიდან ის ბაზა, რომ წელიწადნახევარში ამხელა წარმატებისათვის მიეღწია. ყველამ ჩვენჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ. ქალაქის მერს ფედერაციამ ჩემს სახელზე მადლობის წერილი გამოუგზავნა. მგონი ფედერაციამ უკეთ იცის ვინ რას აკეთებს ამ საქმეში."

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი 2013 წელს არჩევნების წინ ნიჩბოსნობის კომპლექსური სასპორტო სკოლა გაიყო და შეიქმნა ვიქტორ კრატასიუკის კანოე კლუბი. რომელიც ბესიკის №28 ყოფილი ნიჩბოსნობის ბაზაზეა განთავსებული. სწორედ რამდენიმე დღის წინ, აღნიშნული ბაზა, ქალაქის თვითმმართველობამ უსასყიდლოდ უზურფუქტის ფორმით აუქციონის გარეშე გადასცა კლუბს. ცნობილია ის ფაქტიც, რომ ამ კლუბს ლობირებას თავად საკრებულოს წევრები უწევენ, სხვამხრივ ძნელია ახსნა ის გარემოება, რომ კლუბს პატრონობდე, მაშინ როდესაც თვითმმართველობას ამის უფლებამოსილება არ გქონდეს და უფრო მეტიც, ქუჩაში, კონტეინერში განთავსებულ სკოლას, არც თვითონ აქცევდე ყურადღებას და არც სხვას აძლევდე ამის საშუალებას.

დღევანდელი გადასახედიდან როგორც ჩანს წლების განმავლობაში არც ერთ ხელისუფალს არ უზრუნია სკოლას მისი ფუნქცია და სახე დაბრუნებოდა და ეს სამარცხვინო რკინის კონტეინერი, რომელიც ქალაქის ცენტრში მდინარის პირას დგას ფუნქციური შენობით შეეცვალათ. ისმის ერთი უბრალო კითხვა, რატომ ახალშექმნილ კლუბს ბაზა და ამდენი წლის სკოლას რკინის ფარდული? ან რა იმალება ამდენი გადაბრალების მიღმა და რატომ რჩება ამდენი ბავშვი უყურადღებოდ კონტეინერში?



ფოთელები თევზის სუნს აპროტესტებენ

,,ფოთის სიყვარული მარტო სადღეგრძელო არ გახლავთ, საქმის კეთება და ერთმანეთის პატივისცემაა,,

მარიამ ალიხანაშვილი
ფოთი

ფოთში ლოზუნგით "ფოთი თევზის სუნის გარეშე" მორიგი საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები ქალაქის ცენტრში ხელმეორედ დაანონსებულ დროს შეიკრიბნენ და ქაფშიის სუნის გამო პროტესტი ისე გამოთქვეს. მსგავსი აქცია 20 დეკემბერს იმავე მოთხოვნით გამართეს და თევზის ქარხნის მეპატრონეებს დრო 27 დეკემბრამდე მისცეს , მაგრამ არაფერი შედეგი ამას არ მოჰყოლია. პროტესტის ნიშნად, ისინი აქციაზე ამჯერადაც პირბადეებით მივიდნენ. აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ, შემდგარიყო მრგვალი მაგიდა და თევზის გადამამუშავებელი ქარხნების დირექტორებთან და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად ამ საკითხის გადაჭრის გზებზე ემსჯელათ. მათ მოთხოვნას გამოხმაურება არ მოყოლია და მსგავსი შეხვედრის ორგანიზებაზე არავის უფიქრია. საინიციატივო ჯგუფის წევრები და საზოგადოების წარმომადგენლები მთავრობის მხრიდან რეაგირებას ელოდებიან და აცხადებენ, რომ მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, აქციებს მუდმივად გამართავენ. როგორც შეკრებილები აცხადებენ, ქალაქს უსიამოვნო სუნი თევზის გადამუშავების ყოველ სეზონზე აწუხებს. ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელი ზვიად შუბითიძე ირწმუნება,რომ შეხვედრა უახლოეს დღეებში შედგება და თემის დეტალებიც გახდება ცნობილი. ფოთში თევზის გადამამუშავებელი 4 ქარხანა ფუნქციონირებს. უსიამოვნო სუნის მიზეზი ქარხნების ფილტრების გარეშე მუშაობა გახლავთ. აქციის მონაწილეების თქმით,ქარხნების ხელმძღვანელები მას სიძვირის გამო არ ყიდულობენ. მთავრობის მიერ დადგენილი ჯარიმები კი უფრო ნაკლებია და ქარხნებიც ჯარიმების გადახდას ამჯობინებენ. მართალია, უსიამოვნო სუნი სეზონურია, მაგრამ იმდენად აუტანელია, რომ სეზონზე გაძლებაც ძნელია.

ქაფშიის რეწვის სეზონი ფოთის მოსახლეობისათვის წლების განმავლობაში გაუსაძლისია, თუმცა დღეს არც პრობლემის მოგვარების გზა და არც მომგვარებელი ჩანს. ამდენად, მოსახლეობას მხოლოდ პროტესტის ამგვარი ფორმით გამოხატვის გზაღა რჩება. აქციას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. მათი განმარტებით, ეს პრობლემა, როგორც ნებისმიერი ფოთელისთვის, მათთვისაც მტკივნეულია: "მართალია, ეს კერძო ბიზნესია, მაგრამ უნდა არსებობდეს რამე ბერკეტი, რათა ხელისუფლებამ საკუთარი მოსახლეობა დაიცვას"- ამბობდნენ ისინი.

აქციის მონაწილე ბექარ ერაგიას თქმით: "ქალაქი აყროლებულია ქაფშიის სუნით. ეს აქციაც იმ მიზნით გავმართეთ, რომ მოგვაქციონ ყურადღება. რამდენჯერმე გამოვთქვით უკმაყოფილება ამასთან დაკავშირებით, მაგრამ უშედეგოდ. ამიტომ აუცილებელი გახდა, აქცია გაგვემართა. ვცდილობთ, მივიქციოთ იმ ბიზნესმენების ყურადღება, ვინც აბინძურებს ქალაქს. ასევე ცენტრალური ხელისუფლების ყურადღებასაც ვითხოვთ. ვგულისხმობ გარემოს დაცვის სამინისტროს".

ჯანო იზორიამ როგორც გვითხრა: " დილით ადრე გაიღვიძონ, ზღვის პირას გავიდნენ და ზღვას რომ რიონი უერთდება, ნახონ იქ მართლა კარგი სუნია, ქალაქის დამახასიათებელი სუნი. აქ კი საშინელი სუნი დგას. გარეთ ვერ გაიყვან ბავშვს, ვერც მოხუცს და ფეხმძიმე ქალს. ფოთის სიყვარული მარტო სიტყვა არაა და რესტორნებში ფოთსა და ფოთელებს გაუმარჯოს ძახილი. ფოთის სიყვარული საქმის კეთება და ერთმანეთის პატივისცემაა ჩემი აზრით".

ზაურ კაპანაძე ამბობს, რომ არაფერს განსაკუთრებულს არ ითხოვენ, მხოლოდ სუფთა ჰაერი და ჟანგბადი სჭირდება ქალაქს, რომ ცხოვრება შესაძლებელი გახდეს.

განსხვავებული აზრი არც ნონა ედიბერიძეს აქვს: "სარეცხს ვერ ვფენთ, გარეთ ვერ გამოვდივართ, ფანჯრებს ვერ ვაღებთ და ოთახებს ვერ ვანიავებთ, რადგან მოწამლულია ჰაერი. იმედია, ჩვენი აქცია რამე შედეგს გამოიღებს, გაიღვიძებს ქალაქი და დამთავრდება ეს პრობლემა".

აქციაზე მოსული ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, ეს პრობლემა მათთვისაც შემაწუხებელია, თუმცა პოლიტიკურ გათვლებსაც ხედავენ ამ აქციაში. ფოთის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ზვიად შუბითიძე ამბობს, რომ თავის დროზე, ეს ქარხნები ან არსებულ ადგილებზე არ უნდა აშენებულიყო, ან სხვა სტანდარტებით უნდა აგებულიყო: "თუ ვინმე იმ სტანდარტებს არ იცავს, რაც არის, უნდა მოხდეს ამის გადამოწმება"- გვითხრა მან.

აქციის მონაწილეებმა თევზის გადამამუშავებელ ქარხანაში გადაინაცვლეს და პროტესტი იქაც გამოთქვეს. მეპატრონეებთან შეხვედრას ხმაურის გარეშე არ ჩაუვლია.

* * * * * * * * * * * * * * * * * *

საახალწლო ზეიმი პირველ ბაღში

მარიამ ალიხანაშვილი
ფოთი

როგორც წესი, საახალწლოდოდ ყველა საბავშვო ბაღი ღონისძიებებს მართავს. 25 დეკემბერს ნომერ პირველი საბავშვო ბაღის ერთ-ერთმა დამამთავრებელმა ჯგუფმა ულამაზესი საახალწლო ღონისძიება გამართა. ღონისძიებას ესწრებოდა ამავე ბაღის გამგე ლალი კორტავა და პატარების მშობლები.

საახალწლო ზეიმზე ბავშვები ფერიებივით იყვნენ გამოწყობილნი, ლამაზად წარმოადგინეს და იმღერეს საშობაო სიმღერა "ალილო", იცეკვეს ქართული ხალხური ცეკვები,წაიკითხეს ლექსები,ნაძვის ხესთან პატარებმა არაჩვეულებრივი ნიჭი წარმოაჩინეს და დამსწრეეებს დიდი სიამოვნება მიანიჭეს. მოგვიანებით პატარებს თოვლის ბაბუა ესტუმრა, რომელმაც მიულოცა შობაახალი წელი და საჩუქრებით გაახარა ბავშვების გულები. პატარა გოგო-ბიჭებმა თოვლის ბაბუა ზეიმში ჩააბეს, ერთად იცეკვეს და იმხიარულეს.

აღმზრდელი ინგა რურუა კმაყოფილი გახლდათ თავისი აღსაზრდელებით და აღნიშნა,

რომ წელს ყავს ნიჭიერი ბავშვები, რომლებმაც ოსტატურად წარმოადგინეს ყველაფერი. სიხარულს და კმაყოფილებას გამოთქვამდნენ მშობლები ლელა ნანეიშვილი,ნატო ტყემალაძე, ნათია გვასალია, ნინო მეტონიძე; "ძალიან ვისიამოვნეთ ჩვენი ბავშვების გამოსვლით. მათ წარმოადგინეს ასეთი გემოვნებიანი საახალწლო ღონისძიება. გვიხარია, რომ მოდის უაღრესად ნიჭიერი თაობა".

აი ის პატარები, რომლებიც ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: ნიკოლოზ აბაკელია, ალექსი ალანია, საბა ბელქანია, ანა ბილოხიძე, გიგი გერზმავა, მართა გულიაშვილი, გიორგი ლატარია, მათე ლაღიძე, მეგი ლორთქიფანიძე, საბა მამულაძე, ბარბარე მაღლაკელიძე, ელენე მაღლაკელიძე, ანანო ნადარაია, თამარ ნიჟარაძე, ბარბარე სიდორენკო, საბიანა სუვოროვა, ვალერი უჩანეიშვილი, ნიკოლოზ ფერაძე, ლუკა ქარჩავა, ბარბარე ღვანია, მარიამ ყამარაული, ბარბარე ჩიტაია, მარიამ ხულორდავა, ანანო ხვიჩია, ანანო ჯანაშია, ნინო ჯახუა, გვანცა ჯოჯუა.

ბედნიერი ახალი წელი გათენებოდეს ჩვენი ქვეყნის პატარებს.

რა უნდა გვედოს საახალწლო სუფრაზე და როგორ შევხვდეთ ცეცხლოვანი მაიმუნის წელს

ახალი წლის მოახლოებასთან ერთად ყველას აინტერესებს თუ როგორი წელი იქნება, როგორ უნდა შევხვდეთ ახალ წელს, რა უნდა გავითვალისწინოთ 31 დეკემბრის ღამეს და ასე შემდეგ. ამ საკითხებთან დაკავშირებით გთავაზობთ ყველაზე კომპეტენტურ, საჭირო და საინტერესო რჩევებს,რომელიც "ნიუპოსტმა" სპეციალურად მისი მკითხველისთვის ასტროლოგ მიხეილ ცაგარელისგან მოისმინა. თუ როგორ შეხვდეთ 2016 წელს, რათა წითელ მაიმუნს "ვასიამოვნოთ" ამას ჩვენი სტატიიდან გაიგებთ, თუმცა ყველაზე მთავარია რჩევები შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად გაითვალისწინოთ, რომ შედეგი წარმატებული იყოს.

მიხეილ ცაგარელი: ცეცხლის სტიქიის მაიმუნის წელი, სამოც წელიწადში ერთხელ მოდის და ის, სწორედ ახლა, 2016 წელს დგება. გაითვალისწინეთ, რომ მოულოდნელობის აღსავსე და ცვლილებების წელიწადი გველის წინ. მთელი წლის განმავლობაში, მოსალოდნელია, როგორც დადებითი ასევე, უარყოფითი ცვლილებები. 2016 წლის 8 თებერვალს, 18 საათსა და 40 წუთზე, დაიწყება ახალი, ცეცხლის სტიქიის, წითელი მაიმუნის წელიწადი. მაიმუნი, ზოგადად, ხასიათდება ინტენსიური ცვლილებებით საკუთარი მოქმედებების მხრივ და დამახასიათებელი, პიროვნული თვისებებით გამოირჩევა. ასევე, გამოირჩევა გონებამახვილობით, ცბიერებით, თუმცა, მას არ ახასიათებს აგრესია, ომების და რევოლუციების მოწყობის სურვილი. 2016 წელს, ხშირად მოხდება გეგმების და გადაწყვეტილებების შეცვლა. ჩინური ასტროლოგიის მიხედვით, მაიმუნის სიმბოლო ერთდროულად განასახიერებს ინ და იან ენერგიებს, სინათლესა და სიბნელეს, სიბრძნეს და სისულელეს. რადგან, 2016 წელი, აქტიური მაიმუნის წელიწაადია, ახალ წელს უნდა შეხვდეთ აქტიურად: ცეკვით, სიმღერით, იუმორით, ხმამაღალი სადღეგრძელოებით. ხმაურიან და თამაშის მოყვარულ წლის მბრძანებელს ეს ძალიან მოეწონება. კატეგორიულად გეკრძალებათ ახალი წლის ღამეს, დეპრესიის გამოვლენა. რაც მტად მხიარულად დახვდებით მაიმუნის წელიწადს, მით მეტად მოიპოვებთ მის კეთილგანწყობას. 2016 წლის რიცხვებია 2 და 9, აქედან გამომდინარე, კარგი იქნება თუ ახალი წლის ღამეს, 12 საათის დადგომამდე ათი წუთით ადრე, დაანთებთ ორ ან ცხრა ცალ წითელ სანთელს. მადლობა გადაუხადეთ გასულ წელს და ჩაუთქვით მის წინ მდგომა სურვილი. სანთელი უნდა ენთოს სანამ თავისით არ ჩაქრება. ყველაზე პოზიტიური ენერგიის სექტორი ბინაში, წელს იქნება თქვენი ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი და კარგი იქნება თუ ამ ადგილას მოათავსებთ ნაძვის ხეს და პატარა აკვარიუმს. ნაძვის ხე, უნდა მორთოთ წითელი, ოქროსფერი, შინდისფერი, ყვითელი ან ნარინჯისფერი სათამაშოებით და ფერადი გრილიანდებით. ასევე, ჩამოკიდეთ მასზე ცოცხალი ხილი-ფორთოხალი, მანდარინი, კივი და განსაკუთრებით არ დაგავიწყდეთ ბანანი, რომელიც მაიმუნს ძალიან უყვარს და მისი დანახვა გაახარებს. ნაძვის ხის ქვეშ მოათავსეთ მაიმუნის გამოსახულება და დეკორატიული წითელი სანთლები. ასე რომ,დაიხმარეთ კომპასი და იმ ადგილას დადგით და მორთეთ ნაძვის ხე, რომელიც მთელი წელი თქვენს წარმატებებზე იქნება ორიენტირებული. ასევე, მაიმუნის გამოსახულება დადგით სახლის შემოსასვლელი კარის, მოპირდაპირე მხარეს, რომ კარში შესულმა, პირველად მას შეხედოთ და ის შემოგეგებოთ.

რაც შეეხება თუ როგორ უნდა შევიმოსოთ ახალი წლის ღამეს. კარგი იქნება თუ ახალი წელის ღამეს ჩაიცვამთ წითელ, შინდისფერ, ვარდისფერ და ცეცხლის სტიქიისდან გამომდინარე : ოქროსფერ, ყვითელ, ნარინჯისფერ ტანსაცმელს და ისე შეხვდებით დამდეგს. რაც შეეხება აქსესუარებს, შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი ფერის და ფორმის დეტალი. საახალწლო მაგიდაზე მეტად გამოიყენებთ ლითონის ატრიბუტიკას და ნაკეთობებს, მაგალითად სანთლები მეტალის შანდლებში შეგიძლიათ მოათავსოთ და აანთოთ. საახალწლო სუფრაზე აუცილებლად უნდა დადოთ წითელი, ყვიტელი ან ოქროსფერი მაიმუნის სათამაშო, მის გვერდით კი აუცილებლად მოათავსოთ თხის სტატუეტკა, რადგან აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, თხის წელი სრულდება 8 თებერვალს. საზეიმო სუფრაზე აუცილებლად უნდა ეწყოს ბანანი, რომელიც მაიმუნს ძალიან უყვარს, ასევე, ანანასი, მზესუმზირა, ავოკადო და სხვა ტროპიკული საკვები. ამასთანავე, უნდა იყოს წარმოდგენილი, ტრადიციული კერძები და სასმელები, მაგალითად, საცივი, ხაჭაპური, სხვადასხვა სალათები, ხორცეული, გოზინაყი, ღვინო, შამპანური, კოქტეილები და ასე შემდეგ. გაფრთხილებთ, რომ სპირტიანი სასმელები უნდა დადგათ მაგიდაზე დასავლეთის მხარეს, ცენტრალურ ნაწილში კი დადეთ ჩირი, თხილი, კაკალი და გოზინაყი, რადგან მაიმუნს ძალიან უყვარს თხილეული. მაიმუნს ძალიან უყვარს ტკბილეული, ამიტომ, ტრადიციული კერძების გვერდით, უნდა დადოთ მაგიდაზე ნამცხვრები, შოკოლადები და ასე შემდეგ.

* * * * * * * * * * * * * * * * * * *

წითელი მაიმუნი მოხტის – ანუ რატომ უნდა მოასწროთ დასვენება სანამ 2016 დადგება

სულ რამდენიმე დღე გვაშორებს ჩინური ჰოროსკოპის მიხედვით ახალი წლის დადგომას ჩვენი მკითხველებიც არაერთგზის გვისვამენ კითხვას: მაინც რას მოგვიტანს ანცი და ეშმაკი მაიმუნი 2016 წელს?

გამომდინარე იქედან, რომ დამდეგი 2016 წელი წითელი, თანაც ცეცხლოვანი მაიმუნის წელიწადია და ე.წ. "მთვარის კამრულმა კვანძებმა" სულ ცოტა ხნის წინ გადაინაცვლა სასწორი/ვერძის ღერძიდან, ქალწული/თევზების ღერძზე, მომავალი წელიწადი ზოდიაქოს ნებისმიერი ნიშნის წარმომადგენლისთვის პირველ რიგში ჯანმრთელობის თემებს წამოსწევს წინ. მაიმუნმა შესაძლოა ზოგიერთ თქვენგანთან "ბოროტი ხუმრობაც" გაითამაშოს და ცოტა შეგაშინოთ კიდეც არასასიამოვნო დიაგნოზით. თუმცა, ნუ იჩქარებთ დანაღვლიანებას, იმიტომ მაიმუნის წელიწადში ყოველგვარი მოულოდნელობას ექნება ადგილი. მათ შორის მცდარ დიანოზებსა და საოცარ გამოჯანმრთელების პრეცენდენტებსაც.

ეს წელი ძირითადად ისეთ ადმიანებს მისცემს წინსვლის შანსებს, ვინც საკუთარ ცხოვრებას გონივრული რისკის კალაპოტში აგებს. დაგეგმილ-გაწერილი გეგმები გახსოვდეთ, რომ მარტივად აგერევათ მაიმუნი ხომ მზაკვარი და მასხარაა ყველაფერთან ერთად.

სამაგიეროდ, იგი კრეატიულ, ოპორტუნისტული სულის მქონე და აზარტულ ინდივიდებს სწალობს. ამიტომ დამდეგი 2016 წელი გონივრული რისკისთვის და ცხოვრების საინტერესო მოვლენებით გამრავალფეროვნებისთვის უნდა გამოიყენოთ.

ეს ის წელია, როცა ძალიან ბევრი ადამიანის ფინანსური მდგომარეობა შეიცვლება უკეთესობისკენ, თუკი ჩვენ ზემოხსენებული რისკი და ფინანსური ალღო არ გვიმტყუნებს. განსაკუთრებით გაუმართლებთ მსუბუქ მრეწველობაში, კერძო ბიზნესში, სამედინცინო და ფარმაცევტულ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს. კომერციულ და საბანკო სტრუქტურაში მომუშავე ინდივიდებს და ყველას, ვისაც გამჭრიახი გონება, მაძიებელი სული და კრეატიული აზროვნება გააჩნია.

მაიმუნი პირად ურთიერთობებშიც ბევრ სასიამოვნო სიურპრიზს გვპირდება. დათბება და გააქტიურდება ურთიერთობები, არამხოლოდ მტრულად განწყობილ "ყოფილებს" შორის, მაიმუნი დადებითად იმოქმედებს ჩვენს ურთიერთობაზე ნათესავებთან და მეგობრებთან. შესაძლებელია ამ წელს ბევრმა ადამიანმა აღადგინოს წლების წინ გაწყვეტილი კავშირები ოჯახთან ან ძველ მეგობრებთან.

მაიმუნი სიახლეებისა და ცვლილებების მოყვარული ვინმეა, ამიტომ დამდეგი წელიწადი ყველას ჰპირდება წინსვლას, ვისაც ცვლილებების არ ეშინია და ცდილობს, ცნობიერების ფარგლები მაქსიმალურად გაიფართოოს იქნება ეს სწავლა, მოგზაურობა თუ ახალი კონტაქტების შეძენა. ეს კარგი წელია ცეცხლის სტიქიის წარმომადგენლებისთვის - ვერძების, ლომებისა და მშვილდოსნებისთვის. თუმცა, როგორც ასტროლოგები თვლიან, განსაკუთრებით წარმატებული წელიწადი წინ ლომის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულებს ელოდებათ.

40 წუთზე, დაიწყება ახალი, ცეცხლის სტიქიის, წითელი მაიმუნის წელიწადი. მაიმუნი, ზოგადად, ხასიათდე

რას მოუტანს მაიმუნის წელი სხვადასხვა წელში დაბადებულ ადამიანებს

დამდეგი ახალი წელი, არამხოლოდ ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით არამედ დაბადების კონკრეტული წლის მიხედვითაც გიმზადებთ სიახლეებს. დღეს სწორედ ამ ტიპის პროგნოზს შემოგთავაზებთ.

მამალი (1945, 1957, 1969, 1981, 1993, 2005, 2017) მამლისთვის აქტიური წელიწადია. ამ წელს მოგიწევთ ხშირად წახვიდეთ დათმობასა და მსხვერპლზეც კი საყვარელი ადამიანების გამო. ასევე მოგიწევთ დიქტატურისა და სიხისტის შერბილება თუკი გსურთ, რომ ფინანსურ საკითხებში წარმატებას მიაღწიოთ.

ძაღლი (1946, 1958, 1970, 1982, 1994, 2006, 2018) მზად იყავით დიდი გამოწვევებისა და მარცხისთვისაც კი. თუმცა, მოკლე ვადით და დიდი გამარჯვება/რევანშის გარანტიით. ეს ის წელია, როცა თქვენი ცხოვრება ცნობილ ატრაქციონს - "ამერიკულ მთებს" დაემსგავსება. ასე რომ, ღვედი კარგად შეიკარით და წინ.

ღორი (1947, 1959, 1971, 1983, 1995, 2007, 2019) ერთ-ერთი დადებითი წელიწადი გელით წინ. შესაძლებელია, კარიერაში დიდი ნახტომი გააკეთოთ, ხოლო პირად ცხოვრებაში საბოლოოდ შეხვდეთ "იმ ერთადერთს". ამ წელს ნებისმიერი საქმის წამოწყებაა მიზანშეწონილი. გაიხსენეთ რა არის თქვენი "ჰობი", შეუთავსეთ ერთმანეთს სასიამოვნო და სასარგებლო.

ვირთხა (1936, 1948, 1960, 1972, 1984, 1996, 2008) მაიმუნი მეგობრობს თქვენთან, შესაბამისად, ეს წელი საკმაოდ აქტიური და პერსპექტიული გექნებათ. მოგეცემათ საშუალება დიდი ხნის ნანატრი და დაწყებული პროექტების დასასრულებლად. ზოგადად, ოცნებების ასახდენად. მოიპოვებთ სულიერ სიმშვიდეს, რომელიც ბოლო წლებში გაკლდათ.

ხარი (1937, 1949, 1961, 1973, 1985, 1997, 2009) რთული, თუმცა ჭკუის სასწავლებელი და საინტერესო წელი გელით წინ. ყველაფრის მიზეზი კი თქვენთვის დამახასიათებელი პროგნოზირებადი ცხოვრების სიყვარულია. ხოლო მაიმუნს სიურპრიზები უყვარს, შესაბამისად, არ მოგაკლებთ მოულოდნელ ცხოვრებისეულ მოვლენებს.

ვეფხვი (1938, 1950, 1962, 1974, 1986, 1998, 2010) ახალი იდეების დაბადების, ჰორიზონტების გაფართოების წელია. მაიმუნი ხელს შეგიწყობთ კრეატიული გეგმების განხორციელებაში, თუმცა წარუმატებლობასაც უნდა მოთმინებით შეხვდეთ, თუ გინდათ, რომ ფორტუნამ ისევ გაგიღიმოთ წლის მანძილზე.

კატა-კურდღელი (1939, 1951, 1963, 1975, 1987, 1999, 2011) თქვენთვის დამახასიათებელი ლავირების უნარის დახმარებით, შესაძლოა თავი მარტივად დაიძვრინოთ ამ წელს წარმოქმნილი მოულოდნელობებიდან. თუმცა, მაიმუნის წელი საკმაოდ მშფოთვარე და არაპროგნოზირებადი იქნება. რაც დიდ ნებისყოფას მოითხოვს თქვენგან. მოერიდეთ მედიატორის როლს და ნაკლებად ჩაერთეთ კონფლიქტებში.

დრაკონი (1940, 1952, 1964, 1976, 1988, 2000, 2012) მაიმუნის წელში მოგიწევთ გულთან ზედმეტად ახლოს არ მიიტანოთ კრიტიკა. შესაძლოა ამ წელს საკუთარი უპირატესობის დაცვა აქტიურად მოგიხდეთ. არც ის არის გამორიცხული, რომ სხვების ხუშტურებს ემსხვერროლოს თქვენი რეპუტაცია. "ოქროს შუალედის" თემა აქტუალური იქნება. ეცადეთ, იყოთ ლოიალური, მომთმენი და დიპლომატი.

გველი (1941, 1953, 1965, 1977, 1989, 2001, 2013) მოქნილობისა და წინდახედულების გამო, რომელიც გაგაჩნიათ მარტივად იპოვნით გზას მაიმუნის საამებლად. წელიწადი ცვალებადო=ბითა და არაერთგვაროვანი მოვლენებით გაგახარებთ. შეეცადეთ არ გამოიჩინოთ ზედმეტი ცნობისმოყვარეობა და არასოდეს ჩაერიოთ თუნდაც კეთილი გულით სხვების საქმეებში.

ცხენი (1942, 1954, 1966, 1978, 1990, 2002, 2014) წინა წლებთან შედარებით ეს წელი მშვიდი და მონოტონური მოგეჩვენებათ. თქვენში არსებული დიპლომატიურობისა და კომუნიკაბელურობის გამო, მაიმუნის წელში ფაქტობრივად არ გელით გადაუჭრელი პრობლემები. წინ თავბრუდამხვევი რომანი ან ქორწინება გელოდებათ.

ცხვარი-თხა (1943, 1955, 1967, 1979, 1991, 2003, 2015) თქვენთვის წლევანდელი წელი ოჯახის წევრების და ახლო მეგობრების ცხოვრებაში ჩართულობას მოიტანს. მოგიწევთ მეტი ყურადღება დაუთმოთ მათ. შესაძლოა მოგეჩვენოთ კიდეც, რომ საკუთარი ცხოვრებით ვეღარ ცხოვრობთ, თუმცა გამოჩენილი გულისხმიერება და სიკეთე სამომავლოდ ერთიორად დაგიფასდებათ.

მაიმუნი (1932, 1944, 1956, 1968, 1980, 1992, 2004, 2016) ეს წელი თქვენი წელია! შესაბამისად, აუცილებელია, რომ ცხოვრებაში მეტი კრეატივი და "ექშენი" შეიტანოთ. შეცვალეთ ცხოვრების წესი, იმიჯი ან პროფესიული საქმიანობა. მაიმუნის ენერგეტიკა ყველა წამოწყებაში წარმატებას გპირდებათ.

* * * \

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში„

აცხადებს კონკურსს „წელიწადის გამყიდველი„-ს სახელზე

კონკურსში შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ყველა გამყიდველმა, რომლის მაღაზიაშიც იყიდება გაზეთი. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა და დაჯილდოება გაიმართება რედაქციაში საზეიმო ვითარებაში.

კონკურსში მონაწილეობა შეეძლება ყველა გამყიდველს რომლის მაღაზიაშიც გაიყიდება გაზეთი.

რედაქციას შეუძლია შესთავაზოს გამყიდველს მიიღოს მონაწილეობა კონკურსში, შეიძლება მკითხველებმა მიაღებინონ მონაწილეობა ან გამყიდველი თვითონ ღებულობს მონაწილეობას გაზეთის მიერ გამოცხადებულ კონკურსში.

1. ხმის მიცემა მოხდება გაზეთში დაბეჭდილი კუპონების მეშვეობით.
2. მკითხველს შეუძლია მისცეს ხმების ნებისმიერი რაოდენობა ერთ ან რამდენიმე გამყიდველს. არსებობს მხოლოდ ერთი პირობა - ხმის მიცემა შეიძლება მხოლოდ გაზეთიდან გამოჭრილ კუპონზე (ქსეროქსზე გადაღებული კუპონები კონკურსში მონაწილეობას არ ღებულობენ)
3. თვეში ერთხელ ამოირჩევა - თვის საუკეთესო გამყიდველი, რომელიც მიიღებს ჯილდოს-სიუპრიზს. თვეში ერთხელ ჯილდოს მიიღებს აგრეთვე ხმის მიმცემიც.
4. წლის ბოლოს კი დასახელდება წელიწადის გამყიდველი, რომელიც მიიღებს მნიშვნელოვან საჩუქარს.
5. ხმის მიცემა შეუძლია ყველა მკითხველს. თითოეულს შეუძლია შეავსოს გაზეთიდან ამოჭრილი კუპონების ნებისმიერი რაოდენობა. კუპონები შეიძლება გაიგზავნოს ან მოიტანონ რედაქციაში, ან შეიძლება მოიტანონ მაღაზიაში, რომელშიც იყიდება გაზეთი. მაღაზიიდან კუპონებს ღებულობს რედაქციის თანამშრომელი.

კონკურსი ცხადება ასევე ერთგული მკითხველი-ის სახელზე, წლის ბოლოს დაჯილდოვდება ის მკითხველი, რომელიც რედაქციაში გაზეთის ყველა ნომერს ნარმოადგენს.

ცხელი ხაზი

გაზეთში „მთავარი თემა სამეგრელოში" მოქმედებს ცხელი ხაზი.

თუ გაქვთ პრობლემა: გესაჭიროებათ დახმარება, ან გსურთ თქვენი ხმა მიაწვდინოთ კომპეტენტურ პირსა და ორგანოს, დაგვირეკეთ ნომრებზე: 599 34 14 17, 574 34 14 17, ჩვენ შევეცდებით დაგეხმაროთ პრობლემის მოგვარებაში; შეგიძლიათ დაგვირეკოთ საქალაქო ტელეფონზეც: 04293 22 40 50

განცხადება

ფოთში იყიდება 60 კვადრატი ფართი, რომელიც როგორც საცხოვრებლად ისე საოფისედაც გამოდგება.
მისამართი: წმინდა ნინოს 3/2. მსურველები დაგვიკავშირდით ტელ: 593 36 03 93

კუპონი №30

მთავარი თემა სამეგრელოში

გამყიდველის მთავარი პრიზი - - - - - - - - - - - -

ხმის მიმცემის პრიზი - - - - - - - - - - - - - - - - -

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------

ხმის მომცემის სახელი და გვარი ----------
მისამართი: ----------
ტელ: ----------
ჩვენი მისამართი: ფოთი, წმინდა ნინოს 3/2, 0 492 22 40 50

გაზეთის ხელმოწერთა საყურადღებოდ!

ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი

იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2
ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაქირებაგე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაქიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)-37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა სამეგრელოში *თქვენი პრობლემების კვალდაკვალ*

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.